აღნიშნული ცვლილებების გამო არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები ჯგუფის აქტივებსა და ვალდებულებებში 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, შესაბამისად არ არსებობს გადავადებული მოგების გადასახადის არც აქტივი და არც ვალდებულება.

2.5 ფინანსური აქტივები

მათი კლასიფიკაციიდან გამომდინარე, ფინანსური ინსტრუმენტები წარმოდგენილია რეალური ღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით, როგორც ეს აღწერილია ქვემოთ.

რეალური ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვით ან რომელიც გადახდილია ვალდებულების დასაფარად გაანგარიშების დღეს მოქმედი ბაზრის მონაწილეებს შორის

განხორციელებულ კანონიერ კომერციულ გარიგებაში იმის მიუხედავად, შეიძლება თუ არა ფასზე პირდაპირ დაკვირვება, თუ იგი შეფასების სხვა ტექნიკით ფასდება. აქტივის ან ვალდებულების რეალური ღირებულების გაანგარიშებისას, გაზომვის დღეს აქტივის ან ვალდებულების შეფასების პროცესში კომპანია ითვალისწინებს აქტივის ან ვალდებულების მახასიათებლებს, თუ მათ ბაზრის მონაწილეები გაითვალისწინებდნენ. რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა მოქმედ ბაზარზე არსებული ფასი. მოქმედი ბაზარი ისეთი ბაზარია, რომელზეც აქტივებთან ან ვალდებულებებთან დაკავშირებული გარიგებები იმ სიხშირითა და მოცულობით ხორციელდება, რომლებიც საკმარისია ფასის შესახებ ინფორმაციის უწყვეტი წესით მისაღებად.

გარდა ამისა, ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, რეალური ღირებულების გაზომვა იყოფა პირველი, მე-2 და მე-3 დონის კატეგორიებად იმის მიხედვით, თუ რეალური ღირებულების რომელი კომპონენტებია დაკვირვებადი და რა მნიშვნელობის მატარებელია ეს კომპონენტები მთლიანად რეალური ღირებულების მოცულობის დადგენაში. აღნიშნული კატეგორიებია:

- პირველი დონის კომპონენტებს წარმოადგენს აქტიურ ბაზარზე იდენტურ აქტივებზე ან ვალდებულებებზე კვოტირებული ფასები (კორექტირების გარეშე), რომელთა შეფასება პირს შეუძლია გაზომვის დღეს;
- მე-2 დონის კომპონენტებს წარმოადგენს ის კომპონენტები, რომლებიც განსხვავდება პირველ დონეში მოცემული კვოტირებული ფასებისგან და პირდაპირ ან ირიბად დაკვირვებადია მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის; და
- მე-3 დონის კომპონენტებზე დაკვირვება მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის შეუძლებელია.

ითვლება, რომ ფინანსური ინსტრუმენტი აქტიურ ბაზარზე კვოტირდება, თუ კვოტირებული ფასები რეგულარულად და პირდაპირ ხელმისაწვდომია ბირჟიდან თუ სხვა დაწესებულებიდან და თუ ეს ფასები წარმოადგენს რეალურ და რეგულარულად ჩატარებულ, პატიოსანი გარიგების ტრანზაქციებს. იმ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულების განსაზღვრის მიზნით, რომელთან დაკავშირებითაც არ მოიპოვება ინფორმაცია გარე საბაზრო ფასის შესახებ, გამოიყენება ისეთი შეფასების მეთოდები, როგორიცაა დისკონტირებული ფულადი ნაკადის მოდელები ან ბოლოდროინდელი კომერციული გარიგებების მოდელები ან ინვესტირებული საწარმოების ფინანსური მონაცემების განხილვა. შეფასების ტექნიკის გამოყენება შეიძლება გულისხმობდეს წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში ისეთი დაშვებების გაკეთებას, რომლებიც დაკვირვებადი საბაზრო მონაცემებით არ არის გამაგრებული, თუ ამ რომელიმე დაშვების გონივრულად შესაძლო ალტერნატივით შეცვლა გამოიწვევდა მნიშვნელოვნად განსხვავებულ მოგებას, შემოსავალს, მთლიან აქტივებსა და ვალდებულებებს.

ტრანზაქციის ხარჯები არის ის დამატებითი ხარჯები, რომელიც პირდაპირ უკავშირდება ფინანსური ინსტრუმენტის შეძენას, გამოშვებას ან განკარგვას. დამატებითი ხარჯი არის ხარჯი, რომლის გაღებაც არ მოხდებოდა, ოპერაცია რომ არ განხორციელებულიყო. საოპერაციო ხარჯი მოიცავს აგენტებისთვის (მათ შორის, თანამშრომლებისთვის, რომლებიც მოქმედებენ გაყიდვების აგენტების სახით), კონსულტანტებისთვის, ბროკერებისთვის და დილერებისთვის გადახდილ ჰონორარს და საკომისიოებს, სახელმწიფო მარეგულირებელი ორგანოების და საფონდო ბირჟების მოსაკრებლებს და გასხვების გადასახადებს და მოსაკრებლებს. საოპერაციო ხარჯი არ მოიცავს სავალო პრემიებს ან დისკაუნტებს, დაფინანსების ხარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ ან ფლობის ხარჯებს.

ამორტიზებული ღირებულება არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება თავდაპირველი აღიარებისას, მინუს ნებისმიერი ძირითადი გადახდის თანხები, პლუს დარიცხული

პროცენტი და, ფინანსური აქტივების შემთხვევაში, მინუს გაუფასურების ზარალთან დაკავშირებული ჩამოწერა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის საბალანსო ღირებულებაზე მუდმივი პერიოდული საპროცენტო განაკვეთის უზრუნველსაყოფად (ეფექტური საპროცენტო განაკვეთი) საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდში განაწილების მეთოდი.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ამცირებს სავარაუდო სამომავლო გაცემულ ან მიღებულ ფულად ნაკადებს (მომავალი საკრედიტო დანაკარგების გარდა) ფინანსური ინსტრუმენტის სავარაუდო ვადაში ან უფრო მოკლე პერიოდში ფინანსური ინსტრუმენტის წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ამცირებს ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტების ფულად ნაკადებს პროცენტის მომდევნო დადგენის დღისთვის პრემიის ან დისკონტის გარდა, რომელიც ასახავს აღნიშნულ ინსტრუმენტში განსაზღვრულ ცვალებად განაკვეთზე საკრედიტო სპრედს, ან სხვა ცვლადებს, რომლებიც არ არის მორგებული საბაზრო განაკვეთებზე. ამგვარი პრემიები ან დისკონტების ამორტიზაცია ხორციელდება ინსტრუმენტის მთელი პერიოდის განმავლობაში. მიმდინარე ღირებულების გაანგარიშება მოიცავს ხელშეკრულების მხარეებს შორის გადახდილ ან მიღებულ ყველა იმ საკომისიოს, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია.

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი კონტრაქტი, რომელიც წარმოშობს ერთი პირის ფინანსურ აქტივს და სხვა პირის ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

2.6 მარაგები

მარაგის შეფასება ხდება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარელიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით.

მარაგის თვითღირებულება მოიცავს: მათ შეძენასთან და გადამუშავებასთან დაკავშირებულ ყველა დანახარჯს, აგრეთვე დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მისი მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისათვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

წმინდა სარელიზაციო ღირებულება არის წმინდა თანხა, რომლის მიღებასაც საწარმო მოელის ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში მარაგის გაყიდვის შემდეგ.

თვითღირებულების გაანგარიშებისთვის კომპანიას არჩეული აქვს FIFO (პირველი შევიდა, პირველი გავიდა) მეთოდი.

კომპანიაში მარაგების ინვენტარიზაცია ტარდება პერმანენტულად (სრულად ან შერჩევითი მეთოდით), არსებული ინვენტარიზაციის ჯგუფის მიერ. ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლენილი ზედმეტობა ან/და დანაკლისი აისახება კომპანიის მიმდინარე ხარჯად ან შემოსავლად და აისახება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში სხვა შემოსავალი/ხარჯის შესაბამის ანგარიშზე.

2.7 ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ბანკთაშორის განთავსებულ მოთხოვნამდე დეპოზიტებს და სხვა მოკლევადიან მაღალილიკვიდურ ინვესტიციებს, რომელთა დაფარვის თავდაპირველი ვადა სამი თვე ან უფრო ნაკლებია. ფული და ფულის ეკვივალენტები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

განკარგვის უფლებით შეზღუდული ფულადი ნაშთები ბანკის დეპოზიტის ჩათვლით ამოღებულია „ფული და ფულის ეკვივალენტებიდან“ ფულადი სახსრების ანგარიშგებისთვის. ნაშთები, რომლებიც აკრძალულია გაცვლისათვის ან გამოიყენება ვალდებულების დასაფარად სულ მცირე ანგარიშგების პერიოდის თორმეტი თვის შემდეგ წარმოდგენილია შეზღუდულ დეპოზიტებში ფინანსური პოზიციის ანგარიშგებაში.

2.8 კაპიტალი

კომპანიის კაპიტალი ფორმირდება საწესდებო კაპიტალისაგან, რომელიც განსაზღვრულია კომპანიის წესდებით, რომელშიც ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილებით და კომპანიის მიერ მიღებული მოგებით ან ზარალით. კომპანიის დაფუძნების დღიდან კომპანიიდან დივიდენდების გატანა არ მომხდარა.

2.9 დამატებული ღირებულების გადასახადი.

გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი საგადასახადო ორგანოებისთვის გადახდას ექვემდებარება პროდუქციისა თუ მომსახურების კლიენტებისთვის მიწოდებისთანავე. შემენილ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის დაბრუნება ჩვეულებრივ შესაძლებელია გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის ხარჯზე დღგ-ის ანგარიშფაქტურის მიღებისთანავე. საგადასახადო ორგანოები უშვებენ დღგ-ის ნეტო ანგარიშსწორებას. გაყიდვასთან და შესყიდვასთან დაკავშირებული დღგ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში აისახება ნეტო მეთოდით. თუ დებიტორული დავალიანებების გაუფასურების რეზერვი შექმნილია, გაუფასურების ზარალი აღირიცხება მოვალის მთლიანი (ბრუტო) თანხის გათვალისწინებით, დღგ-ის ჩათვლით.

2.10 ამონაგები

კომპანია საქონლის გაყიდვიდან მიღებული ამონაგების აღიარებას ახორციელებს მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებული იქნება ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა:

- კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკს და სარგებელს;
- კომპანია არ ინაწუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ საქონელზე ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს;
- შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ განსაზღვრა;
- მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს: და
- შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაწეული ან მომავალ პერიოდში გასაწევი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

შემოსავლის აღიარება ხორციელდება დამატებული ღირებულების გადასახადის გარეშე.

2.11 რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

კომპანია რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების ჩამოწერას ახორციელებს შესაბამისი შემოსავლების აღიარებისთანავე, დარიცხვის პრინციპის შესაბამისად.

2.12 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

კომპანია ხარჯების აღიარებას ახდენს მაშინ, თუ საწარმოდან მომავალი ეკონომიკური სარგებლის გასვლა დაკავშირებული იქნება აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს პერსონალის, იჯარის, კომუნალურ, სამეურნეო და ამ ტიპის ხარჯებს, რომლებიც აუცილებელია კომპანიის მიმდინარე საქმიანობის სრულყოფილად წარმართვის უზრუნველსაყოფად.

2.13 ჩათვლა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ჩაითვლება და წმინდა თანხა აღირიცხება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს იურიდიულად განხორციელებადი უფლება აღიარებული თანხების ჩათვლაზე, და არსებობს ან ნეტო საფუძველზე დარეგულირების ან აქტივის რეალიზაციის და ვალდებულების დაფარვის ერთდროულად განხორციელების განზრახვა.

3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს ძირითადი სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გადახედვა ხდება მუდმივად, გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს მომავალ პერიოდში მოსალოდნელ მოვლენებსაც. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი

მენეჯმენტმა ფინანსური ანგარიშგება მოამზადა როგორც მოქმედმა საწარმომ, რაც ნიშნავს, რომ კომპანიას შეუძლია მიმდინარე აქტივების რეალიზაციით დაფაროს მიმდინარე ვალდებულებები. ამ შეფასების გამოყენებისას, მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე სასაქონლო-მატერიალური მარაგები, ფინანსურ რესურსებზე წვდომა და გაანალიზა არსებული ეკონომიკური გარემო, რომელშიც მას უწევს ოპერირება.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითადი საშუალებების ცვეთა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა დამოკიდებულია მენეჯმენტის შეფასებაზე თუ რა პერიოდის განმავლობაში მოელის იგი აქტივის გამოყენებიდან შემოსავლის მიღებას. სასარგებლო მომსახურების ვადები პერიოდულად უნდა გადაიხედოს. შეფასების ცვლილებამ შესაძლოა არსებითი ცვლილებები გამოიწვიოს ცალკეულ პერიოდებში საბალანსო ღირებულებასა და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახულ თანხებში.

საეჭვო ვალების რეზერვი

კომპანია, კლიენტის გადახდისუუნარობით გამოწვეული სავარაუდო დანაკარგების აღსარიცხად ქმნის საეჭვო ვალების გაუფასურების რეზერვს. გაუფასურების ნიშნები შეიძლება იყოს გადახდის ვადის დარღვევა, დებიტორის საკრედიტო რეიტინგის გაუფასურება და ა.შ. ხელმძღვანელობა ამასთან ერთად ითვალისწინებს დებიტორული დავალიანებების ვადიანობას, ჩამოწერის ისტორიულ გამოცდილებას, კლიენტის საიმედოობას და ამის შესაბამისად ხდება სავარაუდო გაუფასურების რეზერვის შექმნა.

4.ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების წმინდა საბალანსო ღირებულების განსაზღვრა

დასახელება	მიწა	შენობები	დაუმთავრებელი მშენებლობა	სატრანსპორტო საშუალებები	ავიჯი და ოფისის აღჭურვილობა	მანქანა- დანადგარები	სხვა	სულ
ისტორიული ღირებულება								
01.01.2017								
ნაშთი პერიოდის დასაწყისში	6 543 293	10 300 179	-	63 497	3 551 469	302 108	677 965	21 438 511
აკუმულირებული ცვეთა								
ნაშთი პერიოდის დასაწყისში		(222 889)	-	(12 007)	(836 451)	(35 888)	(112 243)	(1 219 477)
ნაშთი პერიოდის დასაწყისში	6 543 293	10 077 290	-	51 490	2 715 018	266 220	565 722	20 219 034
მომრაობა კატეგორიებს შორის		29 750	(29 750)					-
შესყიდვები		2 000	29 750		164 868		74 195	270 813
ჩამოწერა/გაყიდვა					(16 329)		(627)	(16 957)
გადაფასება (ზრდა/კლება)								-
ცვეთის ხარჯი		(147 460)	-	(11 199)	(599 811)	(20 742)	(81 723)	(860 935)
ნაშთი 31.12.2017	6 543 293	9 961 580	-	40 292	(2 263 746)	245 478	557 567	19 611 956
მომრაობა კატეგორიებს შორის								-
შესყიდვები					276 494		11 290	287 783
ჩამოწერა/გაყიდვა				(7 523)	(188 313)		(27 678)	(223 514)
გადაფასება (ზრდა/კლება)								-
ცვეთის ხარჯი		(147 599)	-	(6 304)	(546 516)	(20 742)	(59 890)	(781 051)
ნაშთი 31.12.2018	6 543 293	9 813 981	-	26 465	2 722 082	224 736	481 288	18 895 174

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ძირითადი საშუალებები არ არის დატვირთული კანონმდებლობით გათვალისწინებული უზრუნველყოფის საშუალებებით.

5. მარაგები

მოცემულია 2018 წლის 31 დეკემბრის, 2017 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით ბალანსზე არსებული მარაგების ნაშთები.

დასახელება	31.12.2018	31.12.2017	01.01.2017
საქონელი	4 806 266	4 480 684	5 323 780
ნედლეული და მასალები	108 907	99 955	153 721
მცირეფასიანი საგნები და ინვენტარი	130 173	132 569	93 256
სხვა მარაგები	8 040	30 618	5 480
სულ მარაგები:	5 053 386	4 743 825	5 576 238

6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

მოცემულია 2018 წლის 31 დეკემბრის, 2017 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით ბალანსზე არსებული სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.

დასახელება	31.12.2018	31.12.2017	01.01.2017
დებიტორული დავალიანება	66 502	69 066	55 609
საექვო მოთხოვნები	-	-	17 645
მოთხოვნები გაწეული მომსახურებიდან	175 024	150 151	170 175
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები:	241 526	219 218	243 429

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას არ გააჩნია ისეთი სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, რომლებიც დაექვემდებარება გაუფასურებას.

7. ფული და ფულის ექვივალენტები

მოცემულია 2018 წლის 31 დეკემბრის, 2017 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით ფული და ფულის ექვივალენტების საბალანსო ნაშთები:

დასახელება	31.12.2018	31.12.2017	01.01.2017
ნაღდი ფული ლარებში	494 960	928 416	775 451
ლარები ადგილობრივ საბანკო ანგარიშებზე	299 297	441 277	467 035
უცხოური ვალუტა ადგილობრივ საბანკო ანგარიშებზე	3 311 954	2 281 312	265 136
სულ ფული და ფულის ექვივალენტები:	4 106 211	3 651 005	1 507 622

8. სესხები

მოცემულია 2018 წლის 31 დეკემბრის, 2017 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით ბალანსზე არსებული სესხები და მათზე დარიცხული პროცენტები.

დასახელება	31.12.2018	31.12.2017	01.01.2017
გაცემული გრძელვადიანი სესხები	392 265	388 830	397 020
გაცემული სესხების გაუფასურება	-	-	-
მისაღები პროცენტები გაცემული სესხებიდან	-	-	-
სულ გაცემული სესხები:	392 265	388 830	397 020
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულება	21 373 414	23 563 837	24 324 846
გრძელვადიან სესხზე გადასახდელი %	8 200 234	6 230 036	4 435 868
სულ მიღებული სესხები:	29 573 648	29 793 873	28 760 714

აღსანიშნავია, რომ წინამდებარე შენიშვნაში მოცემული გრძელვადიანი სასესხო ვალდებულება არის სესხი, რომელიც შპს „ფრესკო შოპინგ ცენტრს“ მიღებული აქვს დამფუძნებელი კომპანიისგან და ეს ვალდებულება არ წარმოადგენს მოკლევადიან ვალდებულებას; ამასთან სესხზე დარიცხული პროცენტები არ ექვემდებარება ყოველწლიურ დაფარვას და მისი გადახდაც მოხდება გრძელვადიან პერიოდში. შესაბამისად შენიშვნაში მოცემული ვალდებულებების ნაშთები მოკლევადიან პერიოდში არ იმოქმედებს კომპანიის ფულის მოძრაობაზე, რაც ნიშნავს, რომ მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგებაში მოცემული ფინანსური ხარჯი 1 676 345 ლარი არ წარმოადგენს მიმდინარე პერიოდის ფულად ხარჯს.

ზემოაღნიშნული აგრეთვე გავლენას ახდენს სავალუტო რისკების მოცულობაზე და რადგანაც სავალუტო პოზიციების დარღვევა პრაქტიკულად სრულად გამოწვეულია ვალუტაში არსებული გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებებით, მის გარეშე კომპანიას სავალუტო რისკი პრაქტიკულად არ გააჩნია.

9. ამონაგები

მოცემულია 2018 და 2017 წლის განმავლობაში მიღებული ამონაგები:

დასახელება	31.12.2018	31.12.2017
შემოსავალი რეალიზაციიდან	47 168 744	44 753 477
შემოსავალი მომსახურებიდან	2 263 970	1 283 560
სხვა საოპერაციო შემოსავლები	6	15 625
სულ ამონაგები:	49 432 720	46 052 661

10. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

დასახელება	31.12.2018	31.12.2017
პერსონალის ხარჯები	4 415 355	4 085 350
იჯარის ხარჯი	418 902	258 083
კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯები	1 334 523	1 232 207
სამეურნეო ხარჯები	311 413	178 677
დაზღვევის ხარჯები	23 364	26 226
ოფისის ხარჯი	129 728	68 952
საბანკო მომსახურების ხარჯი	178 673	148 969
ცვეთა და ამორტიზაცია	880 379	868 753
საგადასახადო ხარჯები	140 498	278 263
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	790 376	695 155
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები:	8 623 211	7 840 635

11. ფინანსური რისკების მართვა

კომპანია განიხილავს თავის რისკებს ფინანსური რისკების კონტექსტში, რომელიც მოიცავს საკრედიტო, საბაზრო, სავალუტო ლიკვიდურობის და საპროცენტო განაკვეთების რისკებს. ამასთან კომპანია პერმანენტულად ახორციელებს სამუშაოებს საოპერაციო რისკების მინიმიზაციის კუთხითაც.

საკრედიტო რისკი

კომპანიაზე გავლენას ახდენს საკრედიტო რისკი. საკრედიტო რისკი ნიშნავს, რომ კონტრაქტორი დროულად ვერ შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, რის შედეგადაც კომპანია მიიღებს ფინანსურ ზარალს. გამომდინარე იქიდან, რომ კომპანიის ძირითადი შემოსავლები საცალო გაყიდვებიდან მოდის და გადახდები ხდება პროდუქციის რეალიზაციისთანავე, საკრედიტო რისკი არ არის მნიშვნელოვანი. სხვა ტიპის ტრანზაქციების შემთხვევაში მენეჯმენტს შემუშავებული აქვს პროცედურა, რათა დროულად მოხდეს დებიტორული დავალიანებების კონტროლი.

საკრედიტო რისკს წარმოადგენს შემდეგი ფინანსური ინსტრუმენტები:

დასახელება	31.12.2018	31.12.2017
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	241 526	219 218
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	4 482	5 108
ფული და ფულის ექვივალენტები	4 106 211	3 651 005
სულ საკრედიტო რისკს დაქვემდებარებული ფინანსური ინსტრუმენტები:	4 352 219	3 875 331

საკრედიტო რისკები ბანკებთან მიმართებაში უმნიშვნელოა, ვინაიდან აღნიშნული ბანკები წარმოადგენენ მაღალი რეპუტაციის მქონე ფინანსურ ინსტიტუტებს.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შემცირების რისკი, საბაზრო პირობების ცვლილებების შედეგად. კომპანიის საბაზრო რისკი წარმოიშობა პროცენტის მატარებელი, სავაჭრო და უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. მოცემული რისკი მდგომარეობს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ან მათთან დაკავშირებული მომავალი ფულადი შემოსავლების ცვლილებაში საპროცენტო განაკვეთების (საპროცენტო რისკი) და ვალუტის კურსის (სავალუტო რისკი) ცვლილებებთან კავშირში.

საპროცენტო რისკი

გამომდინარე იქიდან, რომ კომპანიას არ გააჩნია ცვალებადპროცენტო სესხები, მიმდინარე პერიოდში მას არ გააჩნია საპროცენტო რისკი.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის უცხოური ვალუტის კურსის ცვლილების შედეგად ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების ცვლილების რისკი. კომპანია ახორციელებს უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ გარკვეულ ტრანზაქციებს.

სავალუტო რისკის ანალიზი 2018 წლის 31 დეკემბრის, 2017 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით შემდეგია:

	31.12.2018	31.12.2017	01.01.2017
	USD 1 = 2.6766	USD 1 = 2.5922	USD 1 = 2.6468
	GEL	GEL	GEL
ფინანსური აქტივები			
გრძელვადიანი სესხები	392 265	388 830	397 020
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	15 956	34 873
ფული და ფულის ექვივალენტები	3 311 953	2 281 302	265 136
სულ ფინანსური აქტივები	3 704 218	2 686 089	697 029
ფინანსური ვალდებულებები			
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	29 573 648	29 793 873	28 760 714
სულ ფინანსური ვალდებულებები	29 573 648	29 793 873	28 760 714
სულ წმინდა პოზიცია	(25 869 430)	(27 107 784)	(28 063 685)

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია კომპანიის მგრძნობელობა უცხოური ვალუტების მიმართ ფუნქციონალური ვალუტის 10%-ით გაძვირება/გაიაფების მიმართ 2018 წლის 31 დეკემბრის, 2017 წლის 31 დეკემბრის 1 იანვრის მდგომარეობით, შესაბამისად. ანალიზი ჩატარდა საანგარიშო დღეს შესაბამის ვალუტებში დენომინირებულ ფულად ერთეულებზე.

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017	1 იანვარი 2017
	USD ზეგავლენა	USD ზეგავლენა	USD ზეგავლენა
	USD/GEL	USD/GEL	USD/GEL
	10%	10%	10%
მოგება/ზარალი გადასახადებამდე:	(2 586 943)	(2 710 778)	(2 806 368)

კომპანიის 2018 წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგებაზე განსაკუთრებული უარყოფითი გავლენა მოახდინა ვალუტის კურსთაშორის სხვაობიდან მიღებულმა ზარალმა. მიუხედავად იმისა, რომ კომპანიის მიმდინარე წლის საოპერაციო საქმიანობის შედეგები უკეთესი იყო ვიდრე 2017 წლის შესაბამისი მონაცემები (2017 წლის პერიოდზე კურსთაშორის სხვაობის გავლენა იყო დადებითი და შეადგენდა 569 651 ლარს), კომპანიის მიერ 2018 წლის ნაჩვენები სრული შემოსავალი მნიშვნელოვნად ნაკლებია გასული პერიოდის შედეგზე, მიმდინარე წლის 860 796 ლარის სავალუტო ოპერაციებიდან მიღებული ზარალიდან გამომდინარე.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკის მართვა გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულადი სახსრების შენარჩუნებას და დაფინანსებაზე ხელმისაწვდომობას. კომპანია ახდენს ამ ტიპის რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით. ჯგუფს გააჩნია ფული და სხვა სახის მაღალი ლიკვიდურობის აქტივები, რომლებიც უზრუნველყოფს მიმდინარე ვალდებულებების დროულ გასტუმრებას.

ფულადი ნაკადების პროგნოზირება ხორციელდება კომპანიის საოპერაციო განყოფილების მიერ და აგრეგირდება კომპანიის საფინანსო განყოფილების მიერ. კომპანიის საფინანსო განყოფილება იმ ლიკვიდურობის მოთხოვნის მონიტორინგს ატარებს, რომელიც მას ჭირდება რწმუნებისთვის რომ გააჩნია საკმარისი ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობისთვის.

აღსანიშნავია რომ, კომპანიას გააჩნია ლიკვიდობის დეფიციტი, თუმცა მისი საქმიანობიდან გამომდინარე მისი მიმდინარე აქტივები (მარაგები) ყოველდღიურად რეალიზდება ფულში და წარმოქმნის თავისუფალ ფულად სახსრებს, რომლის საშუალებითაც მას შეუძლია დაარეგულიროს მომავალი პერიოდების სავარაუდო სამუშაო კაპიტალის არასაკმარისი ოდენობა. როგორც გასული პერიოდების სტატისტიკაც გვიდასტურებს, მარაგების რეალიზაცია მუდმივად წარმოქმნიდა საკმარისი ოდენობის ფულად სახსრებს, რომლებიც უზრუნველყოფდნენ კომპანიის მიმდინარე ვალდებულებების დროულ დაფარვას.

კაპიტალის მართვა

„კომპანიის“ კაპიტალის მართვასთან დაკავშირებული მიზანია შეინარჩუნოს საკმარისი კაპიტალის ბაზა, რათა მიაღწიოს „კომპანიის“ საოპერაციო და სტრატეგიულ მიზნებს და შეინარჩუნოს ბაზრის მონაწილეთა ნდობა.

12. პირობითი ვალდებულებები

საოპერაციო გარემო

საქართველოს ბაზარზე ოპერირება, როგორც სხვა განვითარებადი ქვეყნების ბაზრები, წარმოშობს დამატებით რისკებს, რომლებიც დაკავშირებულია სოციალური და ეკონომიკური გარემოს სწრაფ ცვალეზადობასთან. ამასთან ჯერ კიდევ არ არის სრულყოფილი იურიდიული და საკანონმდებლო გარემო და ექვემდებარება სწრაფ ცვლილებებს. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ განვითარებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მთავრობის მიერ გატარებული ეკონომიკური, მონეტარული და ფისკალური პოლიტიკა არსებულ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებთან ერთად.

გადასახადები

საქართველოს საგადასახადო სისტემა ხასიათდება სწრაფი ცვლილებებით, რაც ძირითადად განმარტებების ცვლილებებთან არის დაკავშირებული. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ კომპანიის ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, კომპანიას შეიძლება დაეკისროს დამატებითი საგადასახადო ვალდებულებები. საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები 3 წლის განმავლობაში.

2018 წლის 20 თებერვლიდან მიმდინარეობს შპს „ფრესკო შოპინგ ცენტრის“ საქმიანობის გასვლითი საგადასახადო შემოწმება შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის მიერ. 2018 წლის 31 დეკემბრის N39494 ბრძანების საფუძველზე, კომპანიას ბიუჯეტში გადასახდელად დამატებით დაერიცხა 390 105 ლარი. კომპანია მიიჩნევს, რომ საგადასახადო აღრიცხვა-ანგარიშგება წარმოებული აქვს საგადასახადო კანონმდებლობის დაცვით და დარწმუნებულია, რომ მიმდინარე დავა გადაწყდება მის სასარგებლოდ, რის გამოც არ შეუქმნია ანარიცხები.

დაზღვევა

იმისათვის, რომ კომპანიაში არ წარმოიშვას გაუთვალისწინებელი გარემოებები, აქტიურად გამოიყენება სხვადასხვა სადაზღვევო მომსახურებები. კომპანიას დაზღვეული აქვს როგორც საკუთრებაში არსებული ძირითადი საშუალებები, ასევე სასაქონლო მატერიალური მარაგები. აქედან გამომდინარე გაუთვალისწინებელი და ბუნებრივი მოვლენების შედეგად წარმოქმნილი ზიანი ანაზღაურებული იქნება სადაზღვევო კომპანიის მიერ, რაც მინიმუმამდე ამცირებს შესაძლო დანაკარგების რისკს.

კომპანიის მენეჯმენტი ფიქრობს, რომ მომავალშიც გააგრძელებს ბაზარზე არსებული მოწინავე სადაზღვევო პროდუქტების გამოყენებას.

გარემოს დაცვა

მენეჯმენტის აზრით, კომპანიის საქმიანობა შეესაბამება სახელმწიფოს მოთხოვნებს გარემოს დაცვის საკითხებში. აქედან გამომდინარე მიიჩნევს, რომ კომპანიას რაიმე ვალდებულება გარემოსდაცვით რეგულაციებთან მიმართებაში არ გააჩნია. კომპანია მომავალშიც მუდმივად განახორციელებს მონიტორინგს ამ კუთხით კანონმდებლობაში განხორციელებულ ცვლილებებზე.

სასამართლო და სხვა დავები

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია ისეთი ტიპის სასამართლო დავები, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს კომპანიისთვის მატერიალური ზიანის წარმოქმნა. შესაბამისად კომპანიის მენეჯმენტს სასამართლო დავებთან დაკავშირებით ანარიცხი არ შეუქმნია.

13. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებულ მხარეებში შედიან მფლობელები, პირები ერთობლივი მფლობელობისა და კონტროლის ქვეშ, აგრეთვე კომპანიის უმაღლესი მენეჯმენტი. დაკავშირებულ მხარეებთან მნიშვნელოვან ოპერაციას წარმოადგენს დამფუძნებელი კომპანიიდან მიღებული სესხი, რომლის ნაშთებიც 2018 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვარს შესაბამისად იყო 29,573,648 ლარი და 29,793,873 ლარი. ამავე პერიოდში მოცემულ სესხზე დარიცხული სესხის პროცენტი შეადგენდა 1,676,345 ლარს. გარდა ამისა 2018 წლის განმავლობაში უმაღლესი მენეჯმენტის მიერ მიღებული ანაზღაურება ჯამურად შეადგენდა 378,049 ლარს.

14. ბალანსის შედგენის შემდგომი მოვლენები

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის მიერ, 2019 წლის 30 მაისის საგადასახადო შემოწმების შედეგების გადანგარიშებაზე გამოცემული დასკვნის საფუძველზე კომპანიას შემოწმების ჯამური შედეგებით შეუმცირდა შუალედური აქტით დარიცხული საგადასახადო ვალდებულებები 375 530 ლარით. შუალედური აქტით დარიცხული გადასახადების დარჩენილ ოდენობაზე, 14 575 ლარზე, კომპანია აგრძელებს დავას ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურთან.

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება

შპს „ფრესკო შოპინგ ცენტრის“ მმართველობის ანგარიშგების შესახებ

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ფრესკო შოპინგ ცენტრის“ 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის მმართველობის ანგარიშგების აუდიტი. შპს „ფრესკო შოპინგ ცენტრის“ მმართველობის ანგარიშგება მოიცავს საქმიანობის მიმოხილვას, რაც მოითხოვება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული მეორე კატეგორიის საწარმოებისგან, რომელსაც მიეკუთვნება შპს „ფრესკო შოპინგ ცენტრი“. კანონის შესაბამისად საქმიანობის მიმოხილვა, საქმიანობის მოცულობისა და სირთულის გათვალისწინებით, უნდა ასახავდეს საწარმოს საქმიანობის განვითარების, შედეგებისა და მდგომარეობის, საწარმოს წინაშე არსებული ძირითადი რისკებისა და გაურკვევლობების ამომწურავ ანალიზს.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

საწარმოს ვალდებულებაა მმართველობის ანგარიშგების მომზადება და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურისთვის წარდგენა სამსახურის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. ასევე, კანონის შესაბამისად, საწარმო ვალდებულია, მმართველობის ანგარიშგება მიაწოდოს აუდიტორულ ფირმას.


მოსაზრების საფუძველი

ჩვენ წარმართავდით აუდიტს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ჩვენი მიზანია გონივრული რწმუნების მოპოვება, რომ მმართველობის ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალია თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისგან და აუდიტორის მოსაზრების გამოცემა. ჩვენი აზრით, ჩვენ მიერ მიღებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად.

მოსაზრება

ჩვენი მოსაზრებით, მოცემული მმართველობის ანგარიშგება შეესაბამება მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და თანხვედრაშია იმავე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებასთან.

შპს „რეალ აუდიტ კონსალტინგის“ სახელით



მარინა ბედნიენიშვილი

აუდიტის პარტნიორი

2019 წელი, თბილისი, საქართველო



სლიური ანგარიში 2018

✿ კომპანიის შესახებ	03
✿ მისია და ღირებულებები	04
✿ ისტორია	05
✿ დამფუძნებლის მიმართვა	06
✿ მენეჯმენტი	08
✿ ფრესკო შოპინგ ცენტრის 2018 წლის მიღწევების მოკლე მიმოხილვა	09
✿ სოციალური პასუხისმგებლობა, ფრესკოს საქველმოქმედო ფონდი	15
✿ სამომავლო გეგმები	16

ფრესკო 2012 წელს დაარსდა და 8 სუპერმარკეტით არის წარმოდგენილი თბილისის სხვადასხვა რაიონში. აქედან ფრესკო შოპინგ ცენტრი 5 სუპერმარკეტს მოიცავს: საბურთალოს, ჩუღურეთის, სანჯონის, ისნისა და გლდანის რაიონებში.

ფრესკო ლიდერი კომპანიაა მონესრიგებული საცალო ვაჭრობის ბაზარზე, რომლის წარმატებას განაპირობებს მისი სწრაფვა და მზაობა იყოს ნოვატორი საქართველოს რითეილ ბაზარზე.

ჩვენი უპირატესობაა:

- ✓ ხელმისაწვდომი ფასები
- ✓ უმაღლესი ხარისხის პროდუქცია
- ✓ საუკეთესო დონის მომსახურება
- ✓ კომფორტულ გარემო
- ✓ უფასო პარკინგი
- ✓ კეთილმოწყობილი კაფე
- ✓ მზა კვება
- ✓ ყოველდღიური, 24 საათიანი მომსახურება

სწორად შერჩეული ლოკაციები:

ფრესკო იყო პირველი კომპანია, რომელმაც თბილისის გარეუბნების მაცხოვრებლებისათვის შექმნა ისეთივე კომფორტული და მაღალი სტანდარტების მქონე სავაჭრო ქსელი, როგორიც შეიძლებოდა სხვა ნებისმიერ ცენტრალურ უბანში ყოფილიყო.

მისია და ღირებულებები

მისია

ჩვენ ორიენტირებული ვართ მომხმარებლების კომფორტზე. ჩვენი მისიაა მომხმარებლებს შევთავაზოთ უმაღლესი ხარისხის პროდუქცია, მაღალი დონის მომსახურება და კომფორტული გარემო. ამ ყველაფერთან ერთად კი, ჩვენი მთავარი ამოცანაა გვემძღვოს ყველაზე დაბალი ფასები საქართველოში.

ღირებულებები

დაბალი ფასები, პროდუქციის ხარისხზე ორიენტაცია და მაღალი დონის სერვისი არის ის, რაც ქმნის ჩვენს ღირებულებას. ჩვენ ვართ **№1 ქართული სუპერმარკეტების** ქსელი:

„ფრესკო“ ხელმისაწვდომია ყველასთვის!

- **ფინანსური სიძლიერე და დამოუკიდებლობა:** „ფრესკო“ ერთადერთი ქსელია საქართველოში, რომელიც მუშაობს 100% საკუთრებაში არსებულ მიწისა და შენობების ბაზაზე. „ფრესკოს“ ფინანსური სიძლიერე გარანტირებულია იმისა, რომ ჩვენს კომპანიაში დასაქმებული 1000-მდე ადამიანი, კომპანიის დაარსების დღიდან ყოველთვის დროულად იღებს ხელფასს.
- „ფრესკო“ არის ფინანსურ წარმატებაზე ორიენტირებული კომპანია და ჩვენთვის ეს წარმატება თითოეული თანამშრომლის ფინანსური კეთილდღეობაა, რისთვისაც საჭიროა უპირველეს ყოვლისა ჩვენი მომხმარებელი იყოს კმაყოფილი.

2013

დაარსდა ფრესკო შოპინგ ცენტრი

2015

- გაიხსნა ფრესკო შოპინგ ცენტრის 2 სუპერმარკეტი ისანსა და გლდანში
- ფრესკოს ორგანიზებით ჩატარდა ელექტრონული მუსიკალური ფესტივალი, ადგილობრივი და მსოფლიო დონის მუსიკოსების მონაწილეობით

2017

- დაინერგა ელექტრონული კლანობრამებისა და ელექტრონული შეკვითებისა სისტემა
- გაიხსნა „ფრესკო კაფე“ სავაჭრო ცენტრ „ისტ ფოინთში“
- აშენდა ახალი სათავო ოფისი ოქროყანაში – Villa Fresco

2014

- ფრესკო შოპინგ ცენტრმა გახსნა 4 სუპერმარკეტი: ორთაჭალაში, საბურთალოში, ჩუღურეთსა და სანჯონაში.
- დაარსდა „ფრესკოს საქველმოქმედო ფონდი“

მომხმარებლებში

- ლოკობის ამალლების მიზნით შეიქმნა ფრესკოს 5%-იანი ფასდაკლების ბარათი

2016

- ჩატარდა კომპანიის რეორგანიზაცია, კომპანიის სისტემატიზაციის ამალლებისა და ეფექტურობის გაზრდის მიზნით
- მოხდა „ფრესკოს“ ბრენდის ქვეშ წარმოებული პროდუქციის გამომშვება
- განახლდა სუპერმარკეტების შიდა კაფეები
- დაარსდა ფრესკოს აკადემია

2018

- განახლდა სუპერმარკეტის ინტერიერი
- დაიება ახალი, საყოფაცხოვრებოს სექცია
- დაფუძნდა თანამშრომლობა კომპანია „სუფთა სახლთან“
- გაუქმდა ფრესკოს 5%-იანი ფასდაკლების ბარათი
- განახლდა ხილ-ბოსტნეულის სექცია



2018 წელი შედეგიანი იყო კომპანია ფრესკოსათვის ყველა მიმართულებით:

- განვახორციელეთ ქსელის სრული პროგრამული უზრუნველყოფა, რამაც საშუალება მოგვცა გადავსულიყავით პროდუქციის 100%-ით ელექტრონულ შეკვეთებზე. შევქმენით აბსოლუტურად ყველა ჩვენი სუპერმარკეტის ელექტრონული პლანობრამები. ასევე, ჩავუშვით წარმოებაში პროგრამა, რომელმაც საშუალება მოგვცა დროულად შეგვევსო გაყიდული პროდუქცია თაროებზე. დაიხვეწა და გაუმჯობესდა პროგრამები, რომლებიც საშუალებას გვაძლევდა ყოველდღიურად ვაკონტროლოთ სასაქონლო ნაშთები და გაყიდვები, მათი სეზონურობის გათვალისწინებით.
- საგრძნობლად გაიზარდა მომსახურების დონე, პროდუქციის ხარისხი და ასორტიმენტი.
- საბოლოოდ ჩამოყალიბდა კომპანიის მმართველი გუნდი.
- შევარჩიეთ მიწის ნაკვეთები ჩვენი კომპანიის შემდგომი განვითარებისათვის და ამ მიწის ნაკვეთებზე მიმდინარეობს ახალი სუპერმარკეტების დაკროეფტება.
- გავაუმჯობესეთ თანამშრომლობა ჩვენს მომწოდებლებთან და დავასტაბილურეთ ჩვენი სუპერმარკეტების პროდუქციის უწყვეტი მომარაგება.
- დიდი პოპულარობით სარგებლობს ჩვენს მომხმარებლებში ფრესკოს ყოველკვირეული, სიღრმისეული აქციები.
- საგრძნობლად გაიზარდა კომპანიის წლიური ბრუნვა.

ამის შედეგია მომხმარებლების რაოდენობის 10%-იანი ზრდა, მაღალი საშუალო ჩეკი და მაღალი ამონაგები.

ყოველივე ამან საშუალება მოგვცა კიდევ უფრო მეტი დახმარება გაგვეწია სოციალურად დაუცველებისათვის, ჯანმრთელობის პრობლემის მქონე ადამიანებისათვის, გავშვთა სახლებისათვის, ფრესკოს საქველმოქმედო ფონდის საშუალებით.

მიუხედავად წარმატებებისა, წინ კიდევ ბევრი სამუშაოა. ჩვენ გვაქვს სწორი სტრატეგია და მკაფიო გეგმა მომავალი წლისათვის. ჩემი კოლეგების საქმისადმი ერთგულება და თავდაუზოგავი შრომა კომპანიის ყველა საფეხურზე, მიმართულია ჩვენი მომხმარებლებისათვის საუკეთესო გარემოს და პირობების შეთავაზებაში, რაც გვაძლევს შესაძლებლობას დღეს გვქონდეს ყველაზე ძლიერი პლატფორმა რითეილ სფეროში.

სამწუხაროდ, ბიზნესს ჯერ კიდევ არ აქვს ის გარემო, რომელშიც ის წარმატებით განვითარდება. საჭიროა, სამართლიანი და დახვეწილი კანონები, მთავრობის სწორი ხედვა ბიზნესთან მიმართებაში და მათ მიერ ბიზნესის აღქმა, როგორც თანასწორი პარტნიორის, ქვეყნის შემდგომი განვითარებისათვის. აქედან გამომდინარე, იყო და არის პრობლემები, რომელსაც ჩვენ ჯერჯერობით წარმატებით ვუმკლავდებით, თუმცა, კიდევ უფრო მეტი ინვესტიციების მოზიდვა შეგვიძლია და შეგვეძლო ქვეყანაში, ეს პრობლემები ხელს რომ არ გვიშლიდეს.

გამაყობ ჩემი გუნდით და იმედია, რომ ის გეგმები, რაც დავსახეთ მომავალი წლისათვის წარმატებით შესრულდება.

გასილ სოფრომაძე
დამფუძნებელი





სოფიო კორძაბია
გენერალური დირექტორი



გიგა ბაჩეჩილაძე
გენერალური დირექტორის პირველი
მოადგილე კომერციულ დარგში



ალექსანდრე გურაშვილი
გენერალური დირექტორის მოადგილე
ინვენტარიზაციის, ხარისხის მართვისა და
კონტროლინგის დარგში



ეთერ გურგენაშვილი
გენერალური დირექტორის მოადგილე
ფინანსურ დარგში



თამარ წიკლაური
გენერალური დირექტორის მოადგილე
საოპერაციო დარგში



ალექსანდრე სანადირაძე
გენერალური დირექტორის მოადგილე
სამშენებლო დარგში

ფრესკო შოპინგ ცენტრის 2018 წლის მიღწევების მოკლე მიმოხილვა



კორპორატიული გაყიდვები:

კორპორატიული გაყიდვები ფრესკოს ბიზნეს საქმიანობის ერთ-ერთი განვითარებადი მიმართულებაა. 2018 წელს მნიშვნელოვნად გაიზარდა როგორც კლიენტების რაოდენობა, ასევე, 2017 წელთან შედარებით თითქმის 40%-ით გაიზარდა კორპორატიული გაყიდვების რეალიზაცია.

დღეს, ფრესკოს აღნიშნული მიმართულება გაზარდა მაღალი სანდოობით სარგებლობს. ვემსახურებით 500-ზე მეტ მსხვილ კომპანიას, რომელთა შორის არიან: სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციები, სამინისტროები, სკოლები, ბალები, რესტორნები და ბარები, სამედიცინო და სხვა დაწესებულებები.

2019 წელს კომპანია კორპორატიული გაყიდვების მიმართულებით უფრო მსხვილი პროექტების განხორციელებას გეგმავს.

ფრესკო შოპინგ ცენტრის 2018 წლის მიღწევების მოკლე მიმოხილვა



ფრესკოს მზა კვება:

2018 წლის განმავლობაში ქსელში შემაგულ თითოეულ სუპერმარკეტს საშუალოდ ერთ მილიონ ადამიანზე მეტი ესტუმრა. კომპანიის საცალო გაყიდვებში უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია მზა კვების მიმართულებას. თითოეული სუპერმარკეტში განთავსებულია თანამედროვე დანადგარებით აღჭურვილი მაღალი სტანდარტების სამზარეულო და თონე, სადაც პროდუქცია ყოველდღიურად მზადდება დახლზე განსათავსებლად. სწორედ ამიტომ, ფრესკოს მზა კვება მომხმარებელში ძალიან მაღალი ნდობით და მოწონებით სარგებლობს.

ჩვენი პროდუქცია წარმოებულია ყველაზე მაგარი ხარისხის სტანდარტების მიხედვით. კომპანიის შიდა ხარისხის მართვის სამსახური აქტიურად თანამშრომლობს საქართველოში პირველ ISO 17025:2010 აკრედიტებული სურსათის ხარისხის ლაბორატორიასთან,.

ფრესკო შოპინგ ცენტრის 2018 წლის მიღწევების მოკლე მიმოხილვა

2018 წელს კომპანიამ ორიენტაცია გააკეთა ასორტიმენტის ზრდაზე. ამ მხრივ კი განსაკუთრებით გამოირჩეოდა საყოფაცხოვრებო სექცია, სადაც გაყიდვაში 500-მდე დასახელების ახალი პროდუქტი დაემატა, როგორიცაა: ჭურჭელი, ტექნიკა, ტანსაცმელი და სხვა პროდუქტები.



პარალელურად, განხორციელდა ხილ-ბოსტნეულის სექციის გაფართოებაც. ფრესკომ ქართული პროდუქციის რეალიზაციის წახალისების მიზნით, თანამშრომლობა დაიწყო ადგილობრივი მეურნეობებთან და გლეხებთან.



ფრესკო შოპინგ ცენტრის 2018 წლის მიღწევების მოკლე მიმოხილვა

ასორტიმენტის გაფართოვება ქიმიის სექციასაც შეეხო. 2018 წელს კომპანია ფრესკოსა და სუფთა სახლს შორის თანამშრომლობა დაიწყო, რომლის შედეგადაც დღეს, მომხმარებელებს საშუალება აქვთ შეიძინონ ყველაზე ფართო ასორტიმენტის ქიმიის და სახლის საშუალებები, საუკეთესო ფასად.



ფრესკო შოპინგ ცენტრის 2018 წლის მიღწევების მოკლე მიმოხილვა

„ფრესკო“ 2018 წელსაც გამოირჩეოდა პროდუქციაზე სიღრმისეული აქციებით – ყოველკვიურულად, მომხმარებლების თხოვნიდან გამომდინარე, 100-მდე დასახლების პროდუქტზე 50%-მდე ფადაკლება ცხადდებოდა.

ამავე წელს, ფრესკომ 2 თვის განმავლობაში პირველადი მოხმარების პროდუქტებზე გამოაცხადა უკონკურენტო ფასები და მომხმარებლებს პირველად საქართველოში უწყვეტად შესთავაზა აქცია ისეთ პროდუქტებზე როგორცაა შაქარი, წინიბურა, ფქვილი, კარტოფილი და სხვა. აღნიშნული აქციის განმავლობაში, ფრესკო ყოველდღიურად 50 ათასამდე მომხმარებელს მასპინძლობდა



~~1.32~~
0.69

ფასდაკლების
ბარათით



შაქარი 1კგ

~~1.26~~
0.59

ფასდაკლების
ბარათით



წინიბურა 1კგ

ფრესკო შოპინგ ცენტრის 2018 წლის მიღწევების მოკლე მიმოხილვა

ლოიალურობის დონის გაზრდის მიზნით, ფრესკო რამდენიმე წლის განმავლობაში, მომხმარებლებს სთავაზობდა ფრესკოს ფასდაკლების ბარათს, რომლის საშუალებით, მომხმარებელი მომენტალურად იღებდა დამატებით 5%-იან ფასდაკლებას. თუმცა, 2018 წლის დეკემბერში, კომპანიამ მიიღო გადაწყვეტილება აღარ შეეძნა ბარიერი მომხმარებლებისთვის და შეწყვიტა ბარათის მოქმედება.

2018 წლის დეკემბრიდან საფასო პოლიტიკაში ჩატარდა სრული რეფორმა და სრულ ასორტიმენტის ღირებულება შემცირდა 5%-ით. 5 დეკემბრიდან ნებისმიერ მომხმარებლებს, ნებისმიერ დროს შეეძლო მიეღო დამატებითი ფასდაკლება ლოიალური ბარათის გარეშეც.



5 დეკემბრიდან
ნებისმიერ მომხმარებელს
5% ფასდაკლება
ნებისმიერ შენაძენზე
31 დეკემბრის ჩათვლით

სოციალური პასუხისმგებლობა ფრესკოს საქველმოქმედო ფონდი




ფრესკოს
საქველმოქმედო
ფონდი

„ფრესკოს საქველმოქმედო ფონდი“ 2014 წელს დაარსდა. დაარსების დღიდან მოყოლებული დაეხმარა ათასამდე მზრუნველობამოკლებულ პირს საკვები პროდუქტებით, მედიკამენტებით, უფასო სამედიცინო კვლევების უზრუნველყოფით და სხვა საჭირო აქტივობებით.

2018 წელს ფრესკოს საქველმოქმედო ფონდმა 100-ზე მეტი საქველმოქმედო აქტივობა განახორციელა, რაც თანხობრივად 100000 ლარს აღემატება.





„ფრესკო შოპინგ ცენტრი“ მუდმივად ორიენტირებულია განვითარებაზე და წარმატებული რეფორმების განხორციელებაზე. 2018 წელი გამორჩეული იყო იმით, რომ კომპანიამ სრული მობილიზება გააკეთა ასორტიმენტის მასშტაბურ გაფართოვებაზე, პროცესი კი ძალიან დიდი წარმატებით დასრულდა. რა თქმა უნდა, ამით არ დამთავრდა ასორტიმენტის გაფართოვება და 2019 წელს, კვლავ გაგრძელდება ამ მიმართულებაზე მუშაობა.

დღეს, კომპანია მზად არის მთელი ქალისხმევა კვლავ მიმართოს ქსელის გაფართოებისკენ. მომავალში ფრესკოს ახალ სუპერმარკეტებს მომხმარებელი იხილავს თბილისის ცენტრალურ უბნებში.

მომხმარებლების კეთილგანწყობის ამბლებების მიზნით, 2019 წელს სხვადასხვა მარკეტინგული კამპანიებიც არის დაგეგმილი.

2019 წელს კომპანია მთელ ქალისხმევას დახარჯავს დანაკლისების შემცირებისკენ. ამისთვის კი სხვადასხვა მსხვილი პროექტის წინასაგმუშაოები უკვე დაწყებულია.

და რაც მთავარია, 2019 წელს ფრესკოს მომხმარებელი კვლავ იქნება უზრუნველყოფილი კომფორტით, საუკეთესო მომსახურებითა და ფასებით.



საქართველო, თბილისი, 0105 თბილისი-კოჭრის გზატკეცილი №3
შპს „ფრესკო შოპინგ ცენტრი“
ტელ: (995 32) 2 907 907
ელ.ფოსტა: info@fresco.ge; www.Fresco.ge

